სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს უფროსს ქალბატონ
თამარ ფიცხელაურს

N2023/04 **01-02-2023 წ.**

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „გეოკროპ“-ის (ს/კ:405409311) მიერ 2022 წლის 15 ნოემბერს N6508 წერილით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი იყო ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 80.02.61.291; 80.02.61.290; 80.06.61.422; 80.06.61.658; 80.06.61.656; 80.06.61.655; 80.06.61.657) ჯამური ფართობით 977 700 m^2 ნუშის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება/ანგარიში, ხოლო აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, 2022 წლის 6 დეკემბერს, სააგენტოს მიერ N21/7473 წერილით გამოგზავნილია შენიშვნები და რეკომენდაციები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ნუშის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განახლებულ განცხადებას და ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;

პატივისცემით,

შპს „გეოკროპ“-ის დირექტორი

გიორგი გაჩეჩილაძე

+995 599 26 26 82
office@mkisa.com
www.mkisa.com
@MkisaAgronomist